საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — ცენტრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი მაისი 10
1921 წ.
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

თავზარდაცემული შვილი გოგია, ძმა სოსიკო და რძალი ანა მერკვილაძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასისა

**ნოშრევან ნიკოლოზის ძე**

**მერკვილაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, მაისის 11-ს დილის 10 საათზე ქალაქის 1 საავადმყოფოდან (არამიანცის ყველაზრში) პეტრე-პავლეს ეკლესიაში წირვის შემდეგ იქვე დაიკრძალება. 959

პარასკევს, მაისის 6-ს ქალ. ხაშურში საუკუნო განსვენებას მიეცა ძვირფასი მოხუცი

**იოსებ ძნელაძე**

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს: შვილები—კოწია და ბესარიონი, ცოლი თებრონე და რძალი ნატალია. დაკრძალვა ქ. ხაშურში, სამშ. მაისის 10, გამოსვენება დილის 10 ს. ბოლო პარძ 12 ს. 952

თავზარდაცემულნი დედა კესარია, ძმები არსენ და პანტელეიმონ, დები მათიკო, თეოლინა და სონია, რძალი კატუშა, სიძეები მიხაკო კობალაძე, დათიკო მექვაბიშვილი და მიშა მირიანაშვილი, ბიძაშვილები გერმანე, ისაკი და კოლია გოგატძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულად დაღუპვას ალავერდში 11 თებერვალს

**გიორგი (ჟორჟიკა) კონსტანტინეს ძე გოგატაძის.**

პანაშვიდი ქ. ოზურგეთში. 953

ტფილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია აუწყებს საზოგადოებას, რომ ოთხშაბათს, მაისის 11-ს, ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ამავე გიმნაზიის ყოფილ დირექტორის დაუვიწყარ

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. 944

მუდამ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ნატალია ალმასხანის ასული ლორთქიფანიძისა და შვილები ილარიონის ძენი ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მაისის 11-ს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. 945

11 მაისს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძმები მისი: კონსტანტინე, ბესარიონ და დავით ტარიელის-ძენი ლორთქიფანიძე ოჯახობით. 945

11 მაისს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ შვილი მისი ანნა ილარიონის ასული და სიძე პეტრე ივანეს ძე ქვარაძეები შვილებით. 945

11 მაისს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ შვილი მისი ნინო ილარიონის ასული და სიძე ივანე ლევანის ძე ცაგარლები შვილებით. 945

ოთხშაბათს მაისის 11-ს, საღამოს 7 საათზე შესდგება

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების**

**მ ო რ ი გ ი ს ხ დ ო მ ა.**

ამ სხდომაზე

**კოწია გამსახურდია**

განაგრძობს თავის მოხსენებას:

**„იტალიის რენესანსი“.**

მოხსენებათა მეორე ხესხა: იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა მეთოთხმეტე საუკუნეში. ფირენცული სახელმწიფონი და ფირენზების კულტურ-ისტორიული მნიშვნელობა. ეკლესიის სახელმწიფო მე-13 და მე-14 საუკუნეში. პაპა ალექსანდრე მე-VI, ჩეზარე ბორჯია, და კოლა დე რიენცი. რიენცის რევოლიუცია რელიგიოზური რეფორმაციის დასაწყისი. მედიჩები ფლორენციაში და კოზიმო დე მედიჩი. პიეტრონიმუს სავონაროლა. ინდივიდუმი და საზოგადოება რენესანსის დროში. დასწრება ყველას შეუძლია.

**იუსტიციის სახალხო კომისარიატის**

დასჯა-გასწორების განყოფილებასთან არსდება რესპუბლიკის გამასწორებელ სახლების სადმინისტრაციო თანამდებობათათვის კანდიდატების მოსამზადებლად

**სამ კვირიანი კურსები 12 მაისიდან**

ლექციები გაიმართება საღამოობით სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ქუჩა № 32) მსურველთა ჩაწერა კურსებზე შეიძლება ყოველ დღე დასჯა-გასწორების განყოფილებაში დილის 10 საათიდან 2 საათამდე. 24

ე ქ ი მ ი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად იღებს (914 ტ 608) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუსუნათი და შედეგები.

ახალი იებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

## ფურცლები

23.

### საქართველოს დაპყრობა.

ჩვენი გაზეთის უკანასკნელს ნომერში საქ. პროფ. კავშირების ადგ. კომიტეტის წერილი იყო დაბეჭდილი. კომიტეტი სწერს: „რუსეთის ჯარის მიერ ტფილისის დაპყრობის პირველ დღეებში“... და სხ.

კიდევ უფრო ადრე ხაზ გასმით ეს დებულება წამოაყენა მენშევიკების პარტიამ თავის დეკლარაციაში, ხოლო ამ ვაჟკაცობამ, გმირობამ და გოლიათობამ იმდენად გაიტაცა მენშევიკების წრეები, რომ „სხივი“ც შეუდგა ამგმირო საქმის თავის ხელში აღებას. ამგვარად, გარდა მენშევიკებისა, სიტყვა დაპყრობა საქართველოს შესახებ არავის დაუწერია. ეს არ ჩაიდინეს სოციალისტ-რევოლიუციონერებმა, არ ჩაიდინა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ, ამ მხრივ ნაბიჯი არ გადაუდგამს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას, არავის, არც კომუნისტების პარტიას.

ამ დებულებას ღებავს და ღეჭავს მენშევიკების პარტია. ვნახოთ ეხლა ამ დებულების ეროვნული ღირებულება, ვნახოთ რას შეიცავს იგი, რას ემსახურება, რა მიზანს ისახავს.

ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ამ უაზრო და ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მავნე დებულობის, რომელსაც აზრი აქვს მხოლოდ დემაგოგიისათვის, გრძნობების ათამაშებისათვის, პაწაწკინტელა პარტიული ინტერესების დაცვის საქმეში.

რაშია საქმე? რა ამბავია ჩვენს ირგვლივ, რა მოხდა, რა არის და რა უნდა იყოს?

ერთი მთავარი დებულება სამარადისოდ უნდა სხივს ფენდეს ჩვენს პრაქტიკას და ჩვენს ბრძოლას. ეს დებულება გახლავსთ საქართველოს სიცოცხლე, როგორც ქვეყნის სიცოცხლე, ქართველობის არსებობა, მისი სახელმწიფოებრიობა, როგორც ერისა. უნდა გვახსოვდეს სამუდამოდ: ჩვენ წავალთ ამ სამეფოდან, ჩვენს გვამებს ისტორია დაფარავს და სამარეს მოასპობიებს ყოველს ჩვენს პირად და პარტიულ ინტერესებს, მაგრამ საქართველო და ქართველი ერი დარჩეს სამარადისოდ და ვინც ამ უდიდეს ღირებულებას თავის ვიწრო ინტერესებისათვის თავის მოღვაწეობით სამარეს გაუთხრის ის მთელი შთამომავლობის და ისტორიის კიცხვას დაიმსახურებს.

ეს დებულება ყოველთვის ავიწყდებოდა მენშევიკების პარტიას და მან ეს დებულება დაივიწყა დღესაც.

გადავიდეთ პირდაპირ საკითხზე. რა ძალა აქვს საზოგადოდ ერს და სახელმწიფოს? რას ეყრდნობა ეროვნული უფლება?

ორი ძალაა ერის და ქვეყნის ყავარჯენი: ერთია ფიზიკური ძალა, მეორეა სამართალი, ესრედ წოდებული საერთაშორისო სამართალი. ფიზიკური მომენტი უპირველეს როლს თამაშობს ომის ხანაში, სამართლის ძალა თავს იჩენს მშვიდობიანობის მომენტებში. სამართალი ერთი მძლავრი იარაღია ერის ბუნებისათვის, ერის თავისუფლებისათვის და რა გვარი წყობილებაც არ უნდა ჩამოვარდეს, ბარბაროსული კონსტიტუციიდან კომუნისტური კონსტიტუციამდე, ყველგან და ყოველთვის დარჩება საერთაშორისო სამართალი, რომელიც განაწესებს და განარიგებს ქვეყნების და ერების ბედ-იღბალს.

მაგრამ ეს ორი მომენტი, ფიზიკური და ნორმატიული, ტლანქი ძალა და სამართალი ერის სვე-ბედის საკითხებში მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ყველა პატარა ერი, ყველა პატარა სახელმწიფო თრთის და კანკალებს ამ ფიზიკური ძალის წინაშე. ფიზიკური მომენტის ხელში ალება სათავეში და საშოში სპობს ეროვნებას, პატარა ეროვნებას და ის ყოველთვის სცდილობს ხელი ჩასჭიდოს არა აქ ფიზიკას, არამედ უფლებას, ის ფიზიკურ მომენტს გაურბის, სცდილობს თავისი მთელი ძალა დააფუძნოს საერთაშორისო სამართალს.

თანამედროვე ცხოვრებაში ფიზიკურ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის არსებობაში. ვინ არ იცის ამ მხრივ ფაქტები და ისტორია? თანამედროვე ომში იაპონიამ სისხლით და მახვილით მოიწყო ცინდაოს მიდამოები და იგი სავსებით მიისაკუთრა დაპყრობის მომენტით, ფიზიკურის ზე-გავლენით და დღეს არც ერთს ცინდაოელს საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით უფლება არ აქვს გერმანიის ინტერესები ეძიოს თუ ცინდაოელთან ინტერესები გამსჭვალული იყო გერმანულის ინტერესებით.

ავიღოთ გაცილებით უმეტესი ვარიანტები. გასული საუკუნის მიწურულში აფრიკის პატარა ხალხი—ბურები საშინელ ომში გაეხვია ინგლისთან. ინგლისმა ხანგრძლივი და სასტიკი ომის შემდეგ დაამარცხა ბურები, მათი ქვეყანა დაიპყრო და ბურეთი დარჩა ისტორიულად ინგლისის ყმა ქვეყანა. არას დროს არ დასმულა საერთაშორისო ტრიბუნალში ბურების საკითხი, რადგანაც დაპყრობის აქტმა საბოლოოდ გადასწყვიტა ბურების საკითხი.

მესამოცდაათე წლებში გერმანიამ დაიპყრო ელზას-ლოთარინგია. დაპყრობის აქტის შემდეგ ელზას-ლოთარინგიის პრობლემა, როგორც საკითხი, აღარ დასმულა არავითარ სასამართლოში, იგი გერმანიის იყო დაპყრობის აქტით.

ინგლისმა დაიპყრო ბუმბერაზი ინდოეთი და დაპყრობილი ინდოეთი საუკუნეების მონობაშია ინგლისთან და ინდოეთის საკითხი არასოდეს არ დასმულა საერთაშორისო სამართალში. ინგლისმა დაიპყრო მრავალი ქვეყანა დედამიწის ზურგის მრავალ ალაგას და ყველა ეს დაპყრობილი ადგილები, ერები და ქვეყნები შეიქმნენ ინგლისის ნამდვილი საკუთრება.

დაპყრობის აქტი უდიდესი უბედურება, ლახვარი და საუკუნოეთიოვი ხუნდია ყოველ ქვეყნისათვის, ყოველ ერისათვის და უდიდესი ბედნიერება ქართველი ერისა ამ ორი წლის განმავლობაში ის იყო, რომ საქართველო არ ყოფილა დაპყრობილი და მუდამ ვეცებოდით, მუდამ მივეპოვებოდა სამართალი, რომელსაც მივმართავდით ყველა ჯგუფის და მიმართულების ძალას.

დღეს კი გადამომდგარი მენშევიკობის მიმდევრები და ყოველ გზის ჯვარედინზე გაიძახიან—ჩვენ დაგვიპყრეს, ჩვენ დაპყრობილები ვართ.

ამ უაზრო ძახილს, ამ საშინელ და მავნებელ განგაშს მხოლოდ ერთი მქლე აზრი ასულდგმულებს: ევროპაში მენშევიკობას თავისი ტვინი, თავისი სახე ჰყავს და თავისი გულ-ნაბდის გადასარჩენად ანტანტასთან მორთეს ბღავილი—დაგვიპყრეს, გაგვთელეს, ძალმომრეობა იხმარეს, დაგვეხმარე და გვიშველეთ. აი ეს პარტიული სულისკვეთება და ინტერესები ატირებენ მენშევიკებს და ისინი ერთხელაც არ ფიქრობენ თავიანთ პოზიციის ეროვნულ მნიშვნელობას, ამ მხრივ მენშევიკურმა მთავრობამ იდნავადაც ვერ გამოიჩინა ის შორსმჭვრეტელობა, რომელიც გამოიჩინა ქართველ ერის თავადს—ერეკლემ, რომელიც არ დაბრმავდა პატივმოყვარეობით, წოდებრივ გრძნობით, ქედი მოიდრიკა პირადად, მაგრამ თავისი ტაქტიკით ქართველ ხალხს და შთამომავლობას გადაარჩინა, შეუნახა, უნდერძა საქართველოს სიცოცხლის უფლებები.

ხომ ყველამ ვიცით, ერეკლეს ამ გზით როგორ ვსარგებლობდით მთელი საუკუნის განმავლობაში. ყოველთვის ვიძახოდით—ჩვენ არ ვართ დაპყრობილი ხალხი, ჩვენ ჩვენივე უფლებები ხელთა გვაქვს, ჩვენ ეს უფლება არ დაგვიკარგავს ხელჩართულ ბრძოლაში.

მენშევიკები კი დაეცნენ ამ ბრძოლას, დაკარგეს მოწინააღმდეგის ცნობის, გამგების გრძნობა, ქვეყანა ჩააგდეს მოუ-

წყობილობის ბრტყელიზმში და ბოლოს ქართველი ხალხისათვის უფლებების შენახვის ნაცვლად გამოდიან და ისტერიულად გაიძახიან: დაგვიპყრეს, დაგვიპყრეს, შეხეთ დაგვიპყრეს!

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით; მენშევიკები არა თუ არ არიან საქართველო, მათ საქართველოსი არაფერი სცხიათ. არსებითად, ყოველი ქართული სული მათში აღმოფხვრილია და ჩვენ ყველანი ვამბობთ მენშევიკების ხალხი არის მხოლოდ ერთის მხრივ მართალი: მენშევიკები დაიპყრო ბოლშევიკებმა, მენშევიკების პოზიციები ხელში ჩაიგდო ბოლშევიკებმა, მაგრამ რუსეთს საქართველო არ დაუპყრია და საქართველო რუსეთის დაპყრობილი-მონა არ არის.

ვნახოთ ეხლა, არის თუ არა ჩვენში ოკუპაცია?

თედო ღლონტი.

## სამართალი

ისეთი სამართალი, როცა ადამიანს ყველა საშუალებას როდი აძლევენ თავის გამართლებისათვის, რა თქმა უნდა, სამართალი არ არის.

საშუალო საუკუნოებში და შემდეგ აბსოლიუტურ მონარქიებში, როცა ვისმეს რამე ბრალი ედებოდა ან ოასმეს უჩიოდნენ, წერილობითი გამოძიება ხდებოდა და შემდეგ დაწერილის მიხედვით ასამართლებდნენ კაცს კარ-ჩაკეტილში და მის დაუსწრებლადაც კი. ერთი სიტყვით, მოსამართლენი საქმის განხილვის დროს ვერ ხედავდენ იმ ცოცხალ ადამიანს, ვის ბედსაც სწყვეტდენ, ვერ ისმენდენ მის ცოცხალ სიტყვას და ვერ გრძნობდენ საზოგადოებრივ აზრის კანტროლს. მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერების გავლენით და საფრანგეთის დიდი რევოლიუციის წყალობით საანდათან გავრცელდა სამართლის ის წესი, რომელიც მიღებულია ახლა ყველა განათლებულ ქვეყნებში, და რომელიც რუსეთში შემოიღეს დიდი ბრძოლის შემდეგ მხოლოდ წარსული საუკუნის სამოციან წლებში.

ეს სამართალი აშენებულია უმთავრესად შემდეგ სამს პრინციპზე: 1) გასამართლება ხდება ხალხურად, ღია კარებში, ასე რომ დასწრება შეუძლიან ყველას ვისაც სურს, სხვათა შორის—ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებსაც; 2) საქმე ირჩევა ზეპირად, ე. ი. მოსამართლენი თვით, უშუალოდ, ისმენენ საქმეში მონაწილე მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებს და სხვა საბუთებს; 3) საქმის განხილვის დროს მოწინააღმდეგე მხარეებს, იქნება ეს პროკურორი და ბრალდებული სისხლის სამართლის საქმეში თუ მოსარჩელე-მოპასუხე სამოქალაქოში, შეუძლიათ იგე აუხსნან თუ გაუშუქონ საქმე სასამართლოს, როგორც საჭიროდ მიაჩნიათ.

ეს წესებია ის საშუალება, რომლითაც საუკეთესოდ იხსნება ჭეშმარიტება სასამართლოში.

ამაზე უკეთესი გზა კაცობრიობას ვერ გამოუგონია დღემდე.

სამწუხაროდ საბჭოთა რუსეთის სამართალი ბევრ რამეში არ ეთანხმება ხსენებულ პრინციპებს. ეს ითქმის არამარტო ისეთ განსაკუთრებული ხასიათის სასამართლო დაწესებულებაზე, როგორიც არის საგანგებო კომისია („ჩეკა") არამედ სასამართლოს ნორმალურ ფორმაზეც—სახალხო სასამართლოზე.

როგორც ზევით ვთქვით, რიგიანი სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნილება ის არის, რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარეს უფლება ჰქონდეს განუმარტოს სასამართლოს საქმის ვითარება. სასამართლოშიც—ბრძოლაა: პროკურორი ამტყუნებს, ბრალდებული თავს იმართლებს, მომჩივანი ქონებას ედავება მოპასუხეს, ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ დავა უსაფუძვლოა. მოსამართლენი უსმენენ ერთ მხარეს, უსმენენ მეორესაც, იხილავენ ერთი მხარის საბუთებს და მოსაზრებებს, უკვირდებიან მეორისასაც, შემდეგ ობიექტიურად შეამოწმებენ მთელ მასალას და თავისი მსჯავრი გამოაქვთ. აზრთა ბრძოლა სამართლის სფეროშიაც ჭეშმარიტებას ბადებს.

მაგრამ ბრძოლა ყველას როდი შეუძლია. ჯერ ის, რომ სასამართლოში საქმის წარმოებას უნდა ამ სამართლის წესების ცოდნა, საჭიროა აგრეთვე (ცო-

სახელმწიფოში მოქმედებს, რომ მოსამართლეებს მიუთითოს იმ კანონზე, რომელიც საქმეს უდგება. რასაკვირველია ასეთი ცოდნა ათასში ერთს თუ აქვს. მეორე კიდევ ის, რომ ყველას კი არ შეუძლია გულდამშვიდებით აწარმოვოს საკუთარი საქმე, ნერვები ეშლება, ენა ებმება, საქმის გარემოების ახსნას ვერ ახერხებს.

ამიტომ არის, რომ ყველა განათლებულ ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებულია პროცესში მონაწილე პირთა წარმომადგენლობა: ბრალდებული, მომჩივანი თუ მოპასუხე მიმართავს იმას, ვინც ამისთვის სპეციალურად მომზადებული და გამოცდილია, და იმას აახსნევიებს საქმეს სასამართლოში. ეს არის დამცველი ან ვექილი, რომლის დანიშნულება ის არის, რომ სასამართლოს დაეხმაროს საქმის გარემოების გამოკვლევაში.

საბჭოთა კანონმდებლობამაც იცის წარმომადგენლობა სასამართლოში, მაგრამ მეტად თავისებურად: აქ დამცველს თუ ვექილს ირჩევს არა თვით დაინტერესებული პირი, არამედ სასამართლო უნიშნავს, ვისაც მოისურვებს და ისიც თუ საჭიროდ დაინახავს. მაგალითად, თქვენ სასხვოებთ სადმე დაწესებულებაში, სასამართლოს შეუძლია დაგავალოს თქვენ გამოხვიდეთ სასამართლოში ისეთი კაცის დამცველად, რომელსაც, ვთქვათ, ძარცვა-გლეჯაში ამტყუნებენ. არავითარი ჯილდო ამისათვის არ გეძლევათ. თუც იმას დაგავალებენ, თუ რა აზრისა ხართ ბრალდებულზე, იმის დანაშაულზე და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი „კაზიონი", ნაძალადევი, დამცველი, სხვათა შორის, ზედმეტ ტვირთასავით, ამ საქმის შეუსრულებელი, ყოვლად გამოუდეგარი იქნება სამართლისათვის. პირიქით, პირადი ნდობა, სახელი ან სხვა ინტერესი ყოველთვის იყო უმთავრესი მაამოძრავებელი ძალა, რომელიც აიძულებდა დამცველს თუ ვექილს საუკეთესოდ შეესრულებინა თავისი მოვალეობა. როგორც ავადმყოფი არ ენდობა ყველა ექიმს, ისე დამცველიც უნდა სარგებლობდეს იმის პირადი ნდობით, ვისაც იცავს, და იქ, სადაც, როგორც სასამართლოში, დასაცავია ადამიანის უძვირფასესი რამ: სიცოცხლე, თავისუფლება, ღირსება, უმწიკვლო სახელი ცა ქონება მას რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება აირჩიოს თავის წარმომადგენლად, ვინც თვით უნდა, ვის ცოდნას, უნარს და პატიოსნებას ენდობა?

ვოტიაკების საქმე, რომლებსაც ადამიანის სისხლის შეწირვა ბრალდებოდა, და რომლებსაც იცავდა მწერალი კოროლენკო, ბეილისის პროცესი და ბევრი სხვა ასეთი საქმეები თავის დღეში ვერ მოახდენდენ დიდ შთაბეჭდილებას საზოგადოებაზე, რომ იქ „კაზიონი" ვექილები ყოფილიყვნენ.

საბჭოთა დებულებამ სრულიად საფუძვლიანად უარყო ძველი მარეთადური უფლება, როგორც მარტო ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი, მაგრამ მას არავითარი საბუთი არა აქვს უარი სთქვას ისეთ პროგრესიულ მეთოდზე, როგორიც არის თავისუფალი წარმომადგენლობა სასამართლოში, რომელიც ყოველთვის იძლეოდა საუკეთესო შედეგს მართმსაჯულების სფეროში.

საბჭოთა რუსეთის სამართალი კიდევ უფრო შორს მიდის: სამოქალაქო საქმეში მხარეებს სხვისი დანიშნული ვექილიც კი არა ჰყავს; მათ შეუძლიათ გააგზავნონ სასამართლოში მხოლოდ ახლო ნათესავები (მამა, დედა, შვილი) და სხვა. რა ქნას იმან, ვისაც ასეთი ნათესავი არა ჰყავს, ან და ჰყავს, მაგრამ სასამართლოში საქმის ახსნისათვის გამოუდეგარია,—ამის პასუხს რუსეთის კანონი არ იძლევა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა რუსეთის ასეთ კანონმდებლობის ნაკლი ბევრ რამეთი აიხსნება: ერთის მხრით ინტელიგენციის საბოტაჟი და გაუცოდნელი ხალხის ნამუშევარი, ხოლო მეორეს მხრით—ის აზრი, ვითომც რუსეთში, სადაც იმ დროს თავისუფალი ვაჭრობა და მრეწველობა აკრძალული იყო, სამოქალაქო საქმეები სრულიად მოისპობოდა. დღეს მდგომარეობა რუსეთშიაც შეიცვალა და ჩვენში ხომ ახალმა მთავრობამ იმ თავითვე გამოაცხადა, რომ ... უხლებელი დარჩება. ამ დღეებში იყო გამოთქმული ისიც, რომ, თუ უცხოელი ვაჭრები შემოიტანენ საქართველოში საქონელს, მათ უფლება ეძლევათ თავისუფლად გაყიდონ ის, რასაც ჩვენი „ვნეშტორგი" არ იღებს. ცხადია, აქ რჩება ისეთი მდგომარეობა, როცა მოსალოდნელია მრავალი დავა, აღძრული ვაჭრობა-მრეწველობის ნიადაგზე, და სრულიად გაუგებარია, რატომ არ უნდა მიეცეს უფლება მოდავეს იყოლიოს ვექილი სასამართლოში. ეს მით უფრო ღირსია ყურადღების, რომ დამახინჯებულ სამართალს უცხოელები სამართლად არ მიიჩნევენ და ჩვენთან საქმის დაჭერასაც მოერიდებიან. ეს კი მეტად მავნებელი იქნება ჩვენთვის ახლანდელ აუტანელ კრიზისის გამო.

ამ დღეებში იუსტიციის კომისარიატი წარუდგენს რევკომ. კომიტეტს დამტკიცებლად სახალხო სასამართლოს დებულების პროექტს, რომელსაც, სამწუხაროდ, აქვს მოსკოვის დეკრეტის ზევით აღნიშნული ნაკლი, და მეტად სასურველია რევკომმა თავისი ყურადღება მიაქციოს, სხვათა შორის, ამ წვრილ ი განხილულ საკითხს.

გარეშე.

## სომხური პრესა.

სომხურ კარმირ ახტლ'ში (რომელიც არის ორგანო საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ტფილისის კომიტეტისა და საქართველოს რევკომისა) ამხ. ვ. ლორიანი სწერს (№ 51):

„რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, სომხეთის რევკომის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. მიასნიკიანი, რომელიც სომხურ მარქსისტულ ლიტერატურაში ცნობილია როგორც ალ. მარტუნი, ხოლო სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად—ამხ. სერაპიონიანი (სამხრეთ რუსეთში ცნობილი ლუკაშინის სახელით).

როგორც ამხ. მიასნიკიანი, ისე სერაპიონიანიც მსხვილი და მომზადებული ძალებია, სრულიად რუსეთის სიდიდეები, პირველ ხარისხოვანი და თვალსაჩინო პირები საბჭოთა რუსეთის სინამდვილეშიაც კი, რომელიც ასე მდიდარია ნიჭიერი მოღვაწეებით."

ეს, რასაკვირველია, მართალია. ამხ. მიასნიკიანი და ამხ. სერაპიონიანი გამოჩენილი კომუნისტებია, მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ის გარემოება, რომ ისინი ინიშნებიან რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ და მდივნად? რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ სომხეთის კომუნისტური პარტია სულ მთლად გათქვეფილია რუსეთისაში და ერევანი მოსკოვის დირექტივებს ემორჩილება? ეგების ეს რეცეპტი იყოს საქართველოსთვის? მაგრამ ეს სხვათა შორის. წერილის ავტორი იმედოვნებს, რომ სომხური კომუნისტური პარტია, ამხ. მიასნიკიანისა და ამხ. სერაპიონიანის დანიშვნის შემდეგ, გამოასწორებს თავის შეცდომებს. იგი ამბობს:

„სომხეთის კომუნისტური პარტიის ერთი უბედურება (და ეგებ მთავარიც) ის იყო, რომ მან აქამდე ვერ მოახერხა შექმნა პარტიული ძალიერი ორგანიზაცია, კარგად მომქმედი პარტიული აპარატი.

ჩვენმა ამხანაგებმა ვერ მოახერხეს შეემუშავებინათ და წაეყვანათ ხაზი სხვა მართვა-გამგეობისა, რომელსაც მე სიყვარულით საბჭოთა ხაზს ვუწოდებ... ჩვენ მოვინდომეთ დაუყონებლივ განხორციელება, „შემოღება" კომუნიზმისა ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის ახლო აღმოსავლეთი და დავიწყეთ სკების „ნაციონალიზაცია", გასახელმწიფოება, ქათმების უზოთა, აღრიცხვა...

ლორიანის ფიქრით, შეცდომები რომ შემდეგში მაინც გამოსწორებულ იქმნეს ამისთვის:

„არ უნდა გაუზიაროთ მართვა-გამგეობის პასუხისმგებლობა არც ერთ სხვა პარტიას და მხოლოდ ჩვენს თავზე ავიღოთ მთელი პასუხისმგებლობა წარმოებული პოლიტიკისა"... მაგრამ „როდესაც ვამბობთ, რომ ბავშურ ავადმყოფობას, ნაციონალიზაციის ცდებს სკებსა და ქათმებზე, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ჩავარდეთ მეორე უკიდურესობაში და დავივიწყოთ ჩვენი ისტორიული მისია საბჭოთა აღმშენებლობისა სომხეთში და ისე მოვიქცეთ, რომ ძნელი შეიქნეს საზღვრის გავლება ლიბერალიზმსა, ხშირად უხეირო ლიბერალიზმსა და მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას შორის".

„ჩვენი პოზიცია დაშნაკცუთუნის მიმართ ერთხელვე გარკვეული უნდა იყოს, რადგანაც ჩვენი გარეშე პოლიტიკის გამარჯვება თუ მარცხი (მე სიყვარულით დაუმატებდი კიდევ აგრეთვე შინაური პოლიტიკისაც მეთქი, მაგრამ ამ ჟამად საუბარი გვაქვს მხოლოდ გარეშეზედ) დიდად დამოკიდებულია თუ მთლად უშუალოდ არა, ამ პოზიციაზე. ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენ ან ნდობა და თანამშრომლობა უნდა გვქონდეს თურქ მშრომელ მასსებისა, ან და დაშნაკცუთუნის „ბობოლეების" ქება-დიდებისა და მეკობრობის საგნები ვიყოთ, მათთან ვითანამშრომლოთ. ან ერთი ან მეორე... დაშნაკის სახელი უნდა აღიხოცოს სომხეთის რეალობიდან. ამას მოითხოვს სომეხი გლეხობა, ამიერკავკასიისა და მთლიანი აღმოსავლეთის ერთა კლასობრივი სოლიდარობის იდეის გამარჯვება... ჩვენ ვერ დავმალავთ, რომ ჩვენ თურქის ხალხის ძმობრობას დააიაჭელი სახელგატეხილი მოღვაწეებისა და მკვდარი „ბობოლების" ალერსსა და ლაქუცზე უფრო მაღლა ვაყენებთ".

## თეატრების გაეროვნება

ბრძანება № 1 სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილებისა. აპრილის 30-ს 1921 წ. ქ. ტფილისი 1. 1-ლ მაისიდან ა. წ. ტფილისში გაეროვნებულია თეატრები: საოპერო, დრამატიული და საკამერო.

2. ბილეთებს უფასოდ დაურიგებს ყველა ორგანიზაციის საოპერო თეატრთან არსებული განმანაწილებელი ბიურო.

3. თვითეულს ბილეთს აქვს ბეჭედი წარწერით: „უფასოდ"—ქართულ წარმოდგენებზედ—ქართულად, რუსულ წარმოდგენებზე—რუსულად და სომხურზე—სომხურად: ოპერის ბილეთები უწარწეროა.

4. ფასით ბილეთების შეძენა ზემოაღნიშნულ თეატრებისა სასტიკად არის აკრძალული. ვისაც ბილეთების ყიდვა-გაყიდვა შეემჩნევა, დაისჯება რევოლიუციონურ დროის კანონით. ხელოვნების მთავარი განყოფილების გამგე გრ. რობაქიძე. თეატრალურ განყოფილების გამგე შ. დადიანი.

### თეატრების გაეროვნების გამო.

სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილებამ შეიმუშავა შემდეგი განმარტებითი ბარათი თეატრების გაეროვნების შესახებ: 1) 1-ლ მაისიდან ა. წ. ქალაქ ტფილისში გაეროვნებულია 3 თეატრი: სახელმწიფო ოპერა, დრამა და საკამერო თეატრი. 2) ზემოაღნიშნულ თეატრების ყველა მოსამსახურენი პირველ მაისიდან ითვლებიან სახელმწიფო მოსამსახურეებად. 3) თუ თეატრში მუშაობს რამდენიმე დასი, ეროვნულ უმცირესობათა დასს ჰყავს თავის გამგე, რომელსაც ირჩევს თვით დასი და ამტკიცებს სათეატრო განყოფილების გამგე, ხოლო ეს გამგე არ შედის სათეატრო საბჭოს შემადგენლობაში, 4) სათეატრო საბჭო იმუშავებს სამოქმედო გეგმას, ხარჯთაღრიცხვას, დასის შემადგენლობას და საერთოდ შტატებს და ყველა ამას უდგენს სათეატრო განყოფილების გამგეს, 5) თეატრებზედ გაწეული ყოველივე ხარჯი იფარება თეოს თანხებიდან, 6) წვრილმან ხარჯებისთვის ყოველ თეატრს აქვს თავისი საკუთარი თანხა, მიღებული თეოსაგან, 7) გაეროვნებულ თეატრებთან არსებული ფასსები უქმდება ხოლო სახელმწიფო ოპერის თეატრთან არსდება ბილეთების განმანაწილებელი ბიურო. 8) გაეროვნებულ თეატრების კასსირები გადადიან სამსახურში განმანაწილებელ ბიუროში და ერთ-ერთი ამ კასირთაგანი, სათეატრო განყოფილების გამგის მიერ ინიშნება ბიუროს გამგედ. 9) გაეროვნებულ თეატრების ბილეთებს მთლიანათ თავს უყრიან [illegible] კნელი [illegible] ლი პროპორციის მიხედვით. 10) ბილეთებს ურიგებენ ორგანიზაციების წარმომადგენელთ, განსაზღვრული ნაწილი კი რჩება თეატრში არტისტებისა და სტუმრებისათვის. 11) მუდმივი ბილეთები აქვს მთავრობას, დიპლომატიურ წარმომადგენლებს, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს და არმიის პოლიტიკურ განყოფილებას, ხელოვნების განყოფილებას და მთავარ პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებას, საქართველოს სამხატვრო ცენტრს, სათეატრო განყოფილების გამგეს, კომენდანტს, მორიგ ადიუტანტს, მილიციის უფროსს, მორიგ კომისარს და მორიგ ექიმს და ამათ გარდა 30 ბილეთი არტისტებისა და სტუმრებისათვის. 12) დანარჩენი ბილეთები ნაწილდებიან პროფკავშირებსა, წითელ არმიასა და მოწაფეთა შორის შემდეგი პროპორციით: პროფკავშირებს 60 პროც., წითელ არმიას 25 პროც. და მოწაფეთ 15 პროც. წითელ არმიაში ბილეთები ნაწილდება—ქართველ წითელ არმიისთვის 10 პროცენტი, რუსულისთვის 15 პროც.

### სათეატრო საბჭოები.

გაეროვნებულ თეატრებთან არსდება სათეატრო საბჭოები, რომლის შემადგენლობაში შედიან: თეატრის გამგე (თავმჯდომარე), რეჟისორის წარმომადგენელი, მხატვარი და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი, ყველა სექციიდან თითო.

თუ თეატრში მუშაობს რამდენიმე დასი, მაშინ ყოველი დასის რეჟისორი ჰგზავნის საბჭოში თითო წარმომადგენელს. ადგილობრივ კომიტეტში საბჭოში ჰყავს ერთი წარმომადგენელი, რომელიც შედის საბჭოში იმავე წესით და უფლებებით, რომელნიც მიეცემა ხელოვანთა კავშირისაგან. თეატრალურ საბჭოს დანიშნულებას შეადგენს: პიესების დადგმის განხილვა, შრომის განაწილება, საერთო გეგმის შემუშავება და შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენა.

## ახალი ამბები

— სახელმწიფო დრამის თეატრმა შეიძინა სურათი ქართული სცენის დამსახურებულის მსახიობის ვასო აბაშიძისა სურათი დახატულია ჩვენი ახალგაზრდა მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავის

— სახალხო სახლში დღეს 10 მაისს წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილის ცნობილი „მეზობლები"—ხუთშაბათს 12 მაისს „ტარტიუფი" და შაბათს 12 მაის მეორეთ „მსხვერპლი" რეჟისორად მოწვეულია ნ. გოცირიძე.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი ვიქტორ გიორგის ძე ქორქაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ რომ მან დაკარგა მოწმობა, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

— სასურსათო სახალხო კომისარიატში. სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მიღებულ იქნას ზომები ბათუმის ოლქისადმი ხავთისა და ბენზინის მისაწოდებლად, 2) ქუთაისში დამზადებული სურსათი გატანილ იქნეს ახალციხით, ბორჯომით და ბათუმით.

### შეცდომის გასწორება

კოწია გამსახურდიას გუშინდელ წერილში შემდეგი შეცდომები გაპარულა: 1) ჰამბურგეის უნდა იყოს: ჰამბურგების. 2) ქორდანის ინტელიგენტური ჰამიტუს უნდა იყოს: „ჰაბიტუს" 3) საფრანგეთის ამპირის, უნდა იყოს საფრანგეთის ამპირი და სხვა.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ფრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაკარგა** ქალ. ქუთაისში ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის კურსის დამთავრების ატესტატი № 786 მოცემული 1920 წ. 23 ივნისს არჩილ დ. გველესიანის სახელზედ.

**დაკარგა** პასპორტი სერგო ალექსანდრეს ძე პავლოვსკის სახელზე ქ. ფუფიდან 1902 წელს აღებული რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 956

**დაკარგა** პასპორტი ვასილი როსტომის ძე ტყეშელაშვილის სახელობაზე. ქუთაისში მიღებული, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 987

**დაკარგა** პირადობის მოწმობა მიცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ირაკლი მურვანიშვილის სახელზე, ითვლება გაუქმებულად. 958